საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3694
20/07/2022

3694-21-2-202207201620

შპს „საგზაოს“
მის: ქ. ზუგდიდი, 9 მაისის ქუჩა №4

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა 2022 წლის 12 ივლისს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით თქვენ მიერ წარმოდგენილი N3168 განცხადება, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფელში (ჯუმი) შპს ,,საგზაოს“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიში არ არის წარმოდგენილი სააგენტოს 2022 წლის 14 ივნისის N136/ს სკოპინგის ბრძანებით მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ ნედლეულის ტრანსპორტირების სქემასა და გეგმა-გრაფიკთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ამასთან, 2022 წლის 14 ივნისის N136/ს სკოპინგის ბრძანების თანახმად, გზშ-ის ანგარიშში კუმულაციური ზემოქმედება შეფასებული უნდა იყოს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე სატრანსპორტო გადაზიდვებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სატრანსპორტო გადაზიდვებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება არ არის შეფასებული, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული მოქმედი ობიექტები ტექნიკური თვალსაზრისით გამოიყენებენ მიწისქვეშა წყალს, ხოლო დაგეგმილი საწარმოს წყალმომარაგება მოხდება მდ. ჯუმიდან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წყლის გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება (თავი 7.17 კუმულაციური ზემოქმედება, გვ. 90). გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ შპს „მშენებელი 2020“-ის არსებული საწარმო სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას ახორციელებს სველი მეთოდით, რისთვისაც წყალაღება ხდება მდ. ჯუმიდან (წყალაღების წერტილის GPS კოორდინატი X-736665, Y-4706115),

შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული ჩანაწერი და კუმულაციური ზემოქმედების საკითხი;

- გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისთვის – საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ფიზიკური პირისთვის – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი, რაც წარმოდგენილი არ არის;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს განთავსება დაგეგმილია შპს „ვესტ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. შესაბამისად, წარმოდგენილია მიწის გამოყენების თაობაზე შპს „ვესტ ჯორჯიასთან“ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება 10 წლის ვადით. აღნიშნულის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს საპროექტო ტერიტორიის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სადაც გათვალისწინებული იქნება იჯარის საკითხი.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებული კანონმდებლობით გათვალისწინებული სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო